

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე
მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „ДРОЕБА“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ., 50კ., 4 თვ.—4 მ., 3
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

(ცალკე) ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-ღამე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე
8 კ., პირველზე 16 კ. სრული სტრიქონი გვერდზე
ღი 25 მანათი; პირველი 50 მ. რედაქციაში
ნებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვა-
ლობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გააქვრებს და შეამო-
ვებს დასაბეჭდად გამოცხადებულ წერილებს. დაუბეჭდავ
წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявления въ Россiи, Царства Польскаго и за-
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл.
Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

თავადნი მიხილ და დიმიტრი ივანეს-ძენი მელიქიშვილინი გუ-
ლითადის მწუხარებით აუწყებენ—რა ნათესავთ და მცნობთა თავიანთი
დის კნინა თამარ ივანეს ასულის ჩოლაქაშვილის გარდაცვალებასა,
სთხოვენ მობრძანდენ კვირას აპრილის 14, დილის 9 საათზე მიცვალე-
ბულის განსასვენებლად ნიკოლავეის ქუჩიდან სახლი № 18 წმ. ნიკო-
ლოზის ეკლესიაში.
(3—2)

ქართული თეატრი
კვირას, აპრილის 15-ს
ქართული დრამატული დასის სახანა წარ-
მოადგენილი იქნება:
„სომეხების თანამგზავნი“
პომედია 5 მოქ. გად. ა. მ. მო-
ხუბარძისა.
შასები ჩვეულებრივია.
დასაწყისი 8 საათზე.

შინაური ქრონიკა
ზორიდან გვატყობინებენ, რომ
აპრილის 7-ს აქ გაუმართავთ სალი-
ტერატურო საღამო საქალებო და ქა-
ლაქის სკოლების სასარგებლოდ, რომ-
მელმაც წმინდა შემოსავალი 74 მან.
და 5 კაპ მოიტანაო. ეს საღამო იყო
გამართული მოუღალავის მშრომე-
ლის ადელაიდა ბერარდის თაონო-

სამეგრელო გუშინ *
(შემდეგი *)
მეორე დღეს ქუთაისში დაბრუნე-
ბის შემდეგ, პოლიუბიაკინმა შეატყო-
ბინა თავის მოქმედება სამეგრელოში
მთავარმმართველს და ამავე გარე-
მობეჭდვად წერილი მისწერა თავის
ძმას მიხეილ პეტრეს-ძეს. იგი სწერ-
და მთავარმმართველს, რომ გლეხე-
ბის აჯანყება ჩვეულებრივი მოვლენა
იყო სამეგრელოში, რადგანაც თავად-
აზნაურნი ისე ეპყრობოდნენ თავიანთ
გლეხებს, როგორც პირუტყვებსა.
დედოფალს იგი ბრალს არა სდებდა;
ამ ნაირად მოქცევა ბატონებისა გლე-
ხების შესახებ არც მისგან იყო დად-
გენილი და არც ამის გაუქმება შეეძ-
ლო. მაგრამ სწუხდა, რომ თავად-
აზნაურთა და გლეხთა შორის ასეთს
დამოკიდებულებას დედოფალი ხელს
უწყობდა თავის სარგებლობის გული-
სათვის. დედოფალს ასეთი პლანტა-
ტორული თვისებანი არა ჰქონდა შედგე-
ნილი არც თავის მამის შავჭავჭავაძის სახლ-
ში და არც იმ საზოგადოებაში, რომ-
ელშიაც იგი აღიზარდა. იგი მხო-
ლოდ იმისთვის ამართლებდა თავისი
გამგებლების უსამართლო ქცევას,
რომ თავის შეილებს ქონება უვნებ-

ბით და შედგენილი ისეთის გემოვნე-
ბით, რომ ყველანი სიამოვნებით ემა-
დრიებოდნენ. ეს პირველი არ არის
აღ. ბერარდისგან გამოჩენა ამ გვა-
რის გულმოდგინებისა ღარიბ მოწა-
ფეთა შესაწვეწვლად. ამ ზამთრის
განმავლობაში განუწყვეტლივ მარ-
თავდა ამ გვარსავე საღამოებს და ხელს
უმართავდა შორის სკოლების ღარიბ
მოწაფეთა, რომელთაც ხშირად წიგ-
ნების სასყიდლადაც ფული არ მოე-
პოვებათო..

ბათუმში ამბავი მისულა სტამ-
ბოლსო, იწერება „Петербург. Вѣд“, რომ
ბათუმის გამაგრებას ძალიან ვაცხარე-
ბულად შეუდგენ ამ უქანასკნელ ხა-
ნებშიო.
სწორედ, რომ ცუდი ამინდი
დაუდგათ წელს ჩვენს ეკლესიებს!
შოველი კუთხიდან ეკლესიების გა-
ცარცვის ამბავი მოდის.

ლად დაეცვა. დედოფლის გამგებელ-
ნი მანებელნი იყვნენ საზოგადოები-
სათვის. შაზახების ეგზეკუცია არავი-
თარს სარგებლობას არ მოიტანდა,
თუ რომ სამეგრელოს მოხელენი არ
გამოიცვლებოდნენ. პოლიუბიაკინმა
ასეთი ამბები მისწერა მთავარმმართველს
და თვითონ ჩვეულებისა-მებრ
თავის თანამდებობის აღსრულებას შე-
უდგა.
ზაგარინი და იზიუმსკი მალე და-
ბრუნდნენ. რადგანაც ზაგარინს მშვი-
დობიანი ხასიათი ჰქონდა, როდესაც
დედოფალთან იყო, ცდილობდა საქმე
მშვიდობიანად გათავებულყო; თა-
ვად-აზნაურთ არიგებდა, რომ გლე-
ხებს ადამიანურად მოჰქცეოდნენ, ამა-
სავე ურჩევდა დედოფალსაც; წამოსე-
ლის დროს რამდენიმე ასი ყაზახ-
ნი დასტოვა სამეგრელოში და ამ
ყაზახების აფიცრებს უთხრა, რომ რაც
შეეძლოთ ხალხს სულგრილობით
მოჰქცეოდნენ; დედოფალს დაჰპირდა
გამოცდილი ჩინოვნიკების გაგზავნას
და სანამ კი ურჩია, შორღში წასუ-
ლიყო და იქ მოლოდებოდა განკარ-
გულებას. მთავარმმართველს მან თა-
ვის მოსაზრებანი წარუდგინა. სამე-
გრელოში არეულობის მოსასპობლად
იგი საკმაოდ სთვლიდა რამდენიმე ჩი-
ნოვნიკის გაგზავნას, რისათვისაც
სთხოვდა მთავარმმართველს გაგზავ-
ნა მისთვის თბილისიდან რამდენიმე

აპრილის 6 გაუქურდავსო სოფ.
მამკოდის ეკლესია, საიდანაც წაუღიათ
სხვა-და-სხვანივთები ოცდა ხუთ მანა-
თამდის ღირებული.

ახალ-დაბიდან გვწერენ: „აპრი-
ლის 8-ს საღამოს ცხრა საათზედ სოფ-
ლად ჩამოვარდა ცოფიანი მგელი და,
თქვენი მტერი, რაც აქაურობას იმან
აღიქოთი შეუყენა. შეუვარდა ერთ
აქაურ მცხოვრებ გლეხს სოსია მარ-
ლიშვილს, დაუგლიჯა ეზოში
ბმული ცხენი, ერთი ხარი, ერთი
თხა და ორი სახენდარი. ამითი არ
დაკმაყოფილდა და თითონ სხენებუ-
ლი გლეხიც, მარლიშვილი საცო-
დავად დააშავა მარჯვენა ხელში“.

„დროების“ კორესპონდენცია
სოფ. გულმბარნი. სოფელი გუ-
ლეკარი ეკუთვნის სენაკის მაზრას და
გაშენებულია მდინარე რიონის მარჯ-
ვენა ნაპირზედ; ს. გულეკარს ჩრდი-
ლოეთით და აღმოსავლეთით საზღე-
რავს მდინარე რიონი, სამხრეთით
შურია და დასავლეთით გაქიმულია
დიდი მინდორი ანჯელი, სადაც სიმი-

პირნი, რომელნიც ამ საქმეში სასარ-
გებლონი იქნებოდნენ.
თავად ბარიატინსკის ხელში ჰქონ-
და პოლიუბიაკინის მოხსენება და ამას-
თანვე მოხსენებას ზაგარინისგან მოე-
ლოდა, რომ შემდეგ თავის აზრი შეედ-
გინა. მაგრამ ზაგარინისა და პოლიუ-
ბიაკინის მოხსენებანი ისე სხვა-და-სხვა
აზრისანი იყვნენ, რომ ბარიატინსკი
ჩაფიქრდა. პოლიუბიაკინი სამეგრე-
ლოში აჯანყების დასამშვიდებლად სა-
ჭიროდ სთვლიდა ადმინისტრაციის შე-
ცვლას რუსის ჩინოვნიკებით, ზაგარი-
ნი კი საკმაოდ სთვლიდა რამდენიმე ჩი-
ნოვნიკის გაგზავნას თბილისიდან სა-
მეგრელოში. ადგილობრივი ორი ად-
მინისტრატორის მოხსენების უთანხ-
მოება უყურადღებოდ არ დასტოვა
მთავარ-მმართველმა. ზაგარინის მო-
ხსენებისათვის უფრო უნდა დაეჯერე-
ბინა მთავარ-მმართველს, რადგანაც
იგი უფროსი იყო პოლიუბიაკინზედ;
მაგრამ პოლიუბიაკინის მოხსენებაც
არ დასტოვა უყურადღებოდ, რადგა-
ნაც პოლიუბიაკინიც გამოცდილი
იყო თავად-აზნაურთა და გლეხთა
შორის დამოკიდებულების შესახებ.
ამასთანავე თავადი ზაგარინი თბილი-
სიდან ჩინოვნიკების გაგზავნას თხოუ-
ლობდა, და ისეთი ჩინოვნიკები კი,
რომელთაც სკოდნოდათ სამეგრე-
ლოს ჩვეულებანი, თბილისში არ
იყვნენ. ამისათვის თავადმა ბარია-

დი, ფეტვი და ღომი აუთარებელი მო-
დის.

ბულეკარი არ არის ძალიან დი-
დი საზოგადოება, სხვებთან შედარე-
ბით: შეიცავს მხოლოდ 375-ს კომლს,
და იმ 375-ის კომლიდან შეიდი აზ-
ნაურია და დანარჩენნი 368 მოსახ-
ლე—მეგრელი მხველ-მთესველი გლე-
ხები არიან.

ჰავა ამ სოფლისა ნოტიო და მძი-
მეა. ამის მიზეზად უნდა ჩაითვალოს
გარემომო მდებარე ტყეები, რომელ-
ნიც დიდ სინოტიეს იჭერენ. მეორედ,
ამ სოფელს უელის რიონიდან გამოყ-
ვანილი რუები, რომელთაც ხშირად
აგუბებენ ზოგი წისქვილების გამო,
ზოგი სხვა მიზეზებისა. დაგუბებული
ლელებიდან აღის ომხივარი, დგება
დამშალი სუნი და ჰაერი ფუტკლება.

რაც შეეხება ხენა-თესვას, აქ ამ
საქმეს ხელს უწყობს გარემომო მდე-
ბარე მინდორი ანჯელი. ეს მინდორი
ყოველთვის ყანებით ბიბინებს, აქ, გარ-
და სიმიდის, ღომის და ფეტვის მოყ-
ვანისა, არას მისდევენ, არც ბაღოს-
ნობას, არც ბოსტნეულობას (თუმცა
კარგს მოსავალს მისცემს) და არც
შინაურ პირუტყვის გაშენებას. განსა-
კუთრებით სიმიდის მოყვანას, უგდე-

ტინსკიმ საჭიროდ დაინახა გაეგზავნა
სამეგრელოში დეისტეტიკონი სტატს-
კი სოვეტნიკი ივოლიტ ალექსანდ-
რეს-ძე დასპიკ დიუკრუასი, რათა მას
დაწერილებით გამოეძიებინა საქმის
გარემოება. დიუკრუასს ნება ჰქონდა
თავისთან ვინც უნდა წაეყვანა. ეს
ამბავი ზაგარინსაც შეატყობინეს.

როდესაც დიუკრუასი ქუთაისში
მივიდა და თავის მისვლის საგანი ზა-
გარინს შეატყობინა, იგი უკმაყოფი-
ლოდ დარჩა. მას ეგონა, რომ თბი-
ლისიდან მას გაუგზავნიდნენ ისეთს
პირს, რომელიც მის ხელ-ქვევით იქ-
ნებოდა, ნამდვილად კი ისეთი პირი
გაუგზავნეს, რომელიც მას არ ემორ-
ჩილებოდა და, თუ საჭიროება მოი-
თხოვდა, დახმარებასაც მოსთხოვდა,
რაზედაც ზაგარინს უარის თქმა არ
შეეძლო. ზაგარინი კარგად ვერ იც-
ნობდა დიუკრუასს, რისათვისაც უფ-
რო გულ-ცივად მიიღო იგი. სრუ-
ლიად სხვანაირი იყო დიუკრუასის
და პოლიუბიაკინის შორის განწყო-
ბილება; იგინი დიდხნის მეგობრები
იყვნენ და დიუკრუასმა პოლიუბიაკინ-
თან ლაპარაკის დროს ბევრი საჭირო
გარემოებანი შეიტყო. დიუკრუასთან
ერთად მოვიდნენ თბილისიდან სამი
ჩინოვნიკი: ბრანოვსკი, შულცინსკი
და შერემეტევი.
ამ კომისიას გენერალ-გუბერნა-
ტორმა თან გაატანა ყაზახები, თარ-

*) იხილე „დროება“ № 76.

ბენ ყურს, რადგანაც ეს ათი წელიწადია, რაც კარგი ფასი დაედო სიმიდს. უკანასკნელი გლეხი, რომელიც სხვის მიწაზედ მუშაობს (აქაურ გლეხს ძლიერ ცოტა აქვს საკუთარი მიწა) სანახევროდ ანუ სამესამედოდ, გაჰყიდის წელიწადში ასილამ სამას ფუთამდე და ზოგი ათასამდეც. როგორც საზოგადოდ სამეგრელოში, აქაც ხის სახლები იციან, რომელნიც იშვიათად იჭერენ სიცივეს, რის გამოც აქ ხშირია მკვლით ავადმყოფობა და ციება. ამ ავადმყოფობას წრეულს ზედ დაერთო ყვავილი, რომელიც არც დიდსა ზოგავს და არც პატარას.

სხვათა შორის სოფელ ბულეკარში არის შესანიშნავი ერთი ქვეთიკრის ეკლესია „წმიდა ბიორგისა“, აწინებულის, როგორც ამბობენ, მახტანგ ბორგასლანის დროს. ამ ეკლესიასთან მოსულა მურვან-ყრუ, როგორც ამბობს ხალხური გარდმოცემა. როცა მურვანი შესულა ეკლესიაში და უბძანებია აღიარებინათ იგი, მაშინ ხალხის გარდმოცემითვე, მომხდარა სასწაული და წმიდა ბიორგის მურვან-ყრუ უძრავად გაუჩერებია საყდარში; გარეთ იმ დროს გამოჩენილა ვილაც თეთრი ცხენოსანი კაცი და აუოხრებია მურვანის ჯარი, ეს ამბავი მიუტანიათ მურვანისთვის, მაგრამ არ შესძლებია გამოსვლა. ბოლოს იგი შევედრებია, წმინდა ბიორგის: „წმიდაო ბიორგი, უკეთუ მე გამიშვებ მიველად ჩემს სამშობლოში, შემოგ-

ჯინები, მწერლები, კანცელარიისათვის ყველა საჭირო ნივთიულობანი და რამდენიმე დღის შემდეგ გაისტუმრა სამეგრელოში, სადაც ღიუკრუასი პირველად დედოფალს მკატორინეს ესტუმრა ბორღში. ღიუკრუასი ისეთი განათლებული, მახვილი და სასიამოვნო მოლაპარაკე იყო, რომ დედოფალზედ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. მან აღუთქვა დედოფალს, რომ ყოველსავე ამბობებას მალე მოსპობდა და მშვიდობიანობას ჩამოაგდებდა. მან მოვლო ოდიშის ზოგიერთა ადგილები და თავის რეზიდენციად ძეგისხორი ამოირჩია. ღიუკრუასი პირველად საქმის მშვიდობიანად გათავება უნდოდა, მაგრამ როდესაც დარწმუნდა, რომ მაგარიონის მოხსენების თანხმად საქმე ძნელად გარიგდებოდა, მან განიზრახა მოეხსენებინა მთავარ-მმართველისათვის, რომ სამეგრელოში გამგებლად სამხედრო გუბერნატორი განეწესებინა. რასაკვირველია, რომ ეს ამბავი დედოფალს არ მოეწონებოდა და ამისათვის ღიუკრუასმა ურჩია მას რამდენიმე ხნით სამეგრელოდამ წასულიყო, რომ უფრო ჭადვილად შესძლებოდა ხალხის დამშვიდება.

ყოველივე გარემოება ღიუკრუასმა მთავარ-მმართველს შეატყობინა და ამასთანავე დასძინა, რომ სამეგრელოს ხალხი მთავრის ხალხის წინააღმდეგ ძალიან აღელვებული არისო. თვით კეთილ-საიმედო თავად აზნაურნი ამბობენ, რომ თუ მმართვე-

წირავ ამ ჩემს ხმალს ჩემდა დასამდაბლებლად და არ შევაგინებ შენს სახელს. „აუხსნია ხმალი და შეუწირავს. ამის შემდეგ მურვანს მისცემია საძრაობა. ეს ხმალი ეხლაც არის (ორი არშინის სიგძე): თუმცა მოუვლელობისაგამო ჟანგს შეუქამია; გარდა ამისა ამ ეკლესიაში მოიპოვება სხვადასხვა ძვირფასი თვლებით მოჭედული ხატები და ისე თვლებიც, ზოგი სიდიდით ქათმის კვერცხის ოდენი, ზოგი კიდევ უფრო მსხვილი. რადგან მათი ღირსება არ იციან, ისე ექცევიან, როგორც უბრალო ქვებს. სასურველი იქნებოდა, ვინმე მეცნიერთაგანი ნახედეს და გამოიკვლევდეს მათს ღირსებას და უფრო ფრთხილად შეინახავდენ.

არც სწავლის ტაძარი აკლია სოფელ ბულეკარს. წარსულს 1884 წ. გახსნეს აქ სკოლა და რიგიანადაც მოაწყვეს. მოსწავლეებიც ბლომად არიან სკოლაში: სულ კაცი და ქალი 72-ია. ხალხიც სკოლას კაი თვლით უტკერის.

აქ სკოლა გაიხსნა პატივცემული აზნაურის შიგო დიდას შემწეობითა და მეცადინეობით. ამ მოკლე დროს განმავლობაში შემოსწირა მან სკოლას სხვადასხვა საჭიროებისათვის ას მანათამდე.

მარდა ამისა, ამ პატივცემულ მემაჟღერეს მსურს, თუ საზოგადოება დათანხმდა, სკოლასთან გახსნას სა-

ლობა არ შეიცვლება, აქ დადგომა აღარ შეგვიძლიანო. აღმინისტრაცია კრთამით ცხოვრობს და თვით იღებს მონაწილეობას ქურდობასა და ცარცვაში; მართლ-მსაჯულება ფულზედ იყიდება; დედოფალს მხოლოდ მეფობა უნდა, თავის სასახლეებს აშენებს და ხალხზედ არაფერს ჰფიქრობსო; ყოველისფერს ჩიქოვანები განაგებენ ისე, როგორც თვითონ უნდათო. სკოლებისა ხომ ხსენებაც არ არის და ხალხს კი სწავლა უნდაო.

თავადი ბარიატინსკი სრულიად დაეთანხმა ღიუკრუასის აზრს და დედოფალთან მოლაპარაკების დასაწყობად ამოირჩია თავის ადიუტანტი ჩ. ბარიატინსკიმ ჩ. შუთაისში გაგზავნა და უთხრა ძალიან უბიძგიანო მოვლასა, რომ იმის გამოცდილებით ესარგებლნა.

როდესაც შუთაისში მივიდა ჩ., ჯერ თავადი მაგარიონი ნახა და სადილ წინად ძალიან უბიძგიანო წავიდა. ბენერალმა ჩვეულებრივ მხიარულად მიიღო იგი და იმანაც დაუფარავად უამბო თავის მისვლის საგანი; ამ დროს მეც კაბინეთში ვიჯექი; გენერალმა გამაცნო ჩ. და მითხრა, რომ ჩვენს ლაპარაკში შენც შეგიძლიან დაესწრო, რადგან დედოფლისა და სამეგრელოს გარემოება კარგად იციო. ბენერალმა უბძანა მოსამსახურეს არავინ მიეღო და სთხოვა მას სადილად მასთან დარჩომილიყო. სადილზედ გენერალმა სამეგრელოს საქმეებზედ ჩამოუგდო ბასი. ბანსა-

მეურნეო განყოფილება, რომლისათვის დიდს შემწეობასა ჰპირდება.

დომქსტი ფაი—კა.

დავა შეაზიანი

სპარსულს ვაზეთს „Fars“-ს მანდარიდამ მიუღია პროკლამაცია, რომელსაც თურქმენთ ემისარები ავრცელებენ მდ. ამულარიის ნაპირას მდებარე ავღანელთ ქალაქებში; შინაარსი პროკლამაციისა შემდეგია: „ღურანის ხალხთა მიმართ! (ავღანელთ). თქვენ კარგად უწყით, რომ განსვენებული ემირი თქვენი, შირალი როგორი კვმმარტი მეგობარი იყო რუსებისა; რომ ოსმალეთის ხონთქარმაც თავის წერილებში არა ერთხელ ურჩია მას მეგობრული განწყობილება ჰქონოდა რუსეთთან და რომ 1879 წელს, როდესაც ინგლისის ჯარი შემოესია ავღანს, შირალიმ დააგდო ძაბული და წავიდა პეტერბურგს, რათა დახმარება ეთხოვა რუსის მმართველობისათვის. ამ დახმარებას, უეჭველია, გაუწევდა მას რუსეთი, რომ გზაზედ მოულოდნელი სიკვდილი არ მოვლენოდა თავს შირალის. თქვენ ისიც იცით, რომ მეგრის თურქმენები ნებაყოფლობით დაექვემდებარენ რუსეთის ხელმწიფებას, რადგან კარგად ესმოდათ, რომ რუსეთის ძლიერებას ვერვის ძალ უმსყინა აღმდევოს და რომ ამ სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ,

კუთრებით იმაზედ ლაპარაკობდენ, თუ როგორი წინადადება უნდა მიეცა დედოფლისთვის ბარიატინსკის და მაშინ საუმჯობესოდ ხედავდენ: დეთანხმებინათ დედოფალი უარი ეყო თავის უფლებებზედ იმ მიზეზით, რომ ვითომ მას თავის შვილი რომელსამე სატახტო ქალაქში უნდა აღეზარდა და ამისათვის, სანამ მისი შვილი მცირე წლოვანი იქნებოდა, სამეგრელოს მართვას რუსის მთავრობა ჩაიბარებდა; მამულებსაც ჩააბარებდა ოპეკუნს, რომელსაც დედოფალი და მთავარ-მართველი ერთმანეთის თანხმობით ამოირჩევდენ. მართლაც დედოფალს რომ ეს წინადადება მიეღო, მისთვის ბევრად უკეთესი იქნებოდა. სამთავრო მამულები გაიმიჯნებოდენ, შემოსავალ-გასავალი აღინიშნებოდა და მთავრს უფრო დიდი შემოსავალი ექნებოდა. რაკი ამ ნაირად მოქმედება გადასწყვიტეს, ჩ. იმავ საღამოს ბორღში წავიდა.

დედოფალი კმაყოფილი არ იყო ღიუკრუასის მოქმედებით, რისათვისაც მან მიწერ-მოწერა გამართა ობილისელს თავის ნათესაებთან, რომელნიც მას ქორებს ატყობინებდენ, თუ რა აზრისა იყო მისი საქმეების შესახებ ბარიატინსკი. ამ ქორების გამო იგი მტრულის თვლით უყურებდა ბარიატინსკის. დედოფალს იმდენად მალლა ეჭირა თავი, რომ მისის აზრით ვილაც ბარიატინსკი მას ვერაფერს დააკლებდა. დედოფალმა წინად-

როგორც კეთილ-მორწმუნენი, ავრცივე ურჯულონიც ერთ-ერთს სუფილებით სარგებლობენ და ერთ-ერთად ჰპოულობენ მასში მოწყალეს და მფარველს. სპარსეთშიაც გაისმის ძახილი რუსეთთან მჭიდროდ დაკავშირებისა.. თვით უფალი, ეტყობა, მფარველობს მას, რადგან ხელთ მისცა მაჰმადიანთ წმიდა ქალაქი—სამარყანდი აუარებელის მჩქეთებით და მაჰმადიანთ წმიდათა საფლავებით.— ამისათვის, ღურანელნო, იცხოვრეთ მეგობრულად რუსებთან, დაუკავშირდით მათ და ნუ დაენდობით იმათ მტერთ! თქვენ, უეჭველია, ვერ ასცდებით ბედის-წერას და დიდი ხანი არ გაივლის თურქმენებთან, იომუდებთან, და სართებთან ერთად შეადგენთ ერთს მონათესავე ოჯახს“.

თეირანიდამ მისულა ლონდონს ამბავი, რომ რუსის საელჩომ ენერგიულის წინადადებებით მიმართა სპარსეთის მმართველობას დატუსალებულის მიუბ-ხანის განთავისუფლებისათვის. ხანის დატუსალებით, როგორც გუმინდელს ნომერში მოვიხსენიეთ, შაჰმა აღასრულა ინგლისის სურვილი.

ბერმანიის იმპერატორს მიუღია თავისთან რუსის სამხედრო აგენტი თ-დი ლოლგორუკოვი, რომელთანაც როგორც ამბობენ, სხვათა შორის, რუს-ინგლისის შუა ამტყდარს დაეაზედაც ჰქონდა საუბარიო. ბერმანია მხოლოდ მაშინ გაერევა „ავღანის საქმეებში“, როცა ინგლისისა და

ვე გაიგო ჩ. ბორღში მისვლის მიზეზი და ამისათვის ქალური თვალთმაქცობა დაიწყო, რომ ამით ეგრძნობინებინა ბარიატინსკისათვის, თუ როგორ მცირე მნიშვნელობას აძლევს მის შუამავლობას. დედოფალმა ჩ. აღერსიანად მიიღო, თავის შვილები და სასახლის კაცნი გააცნო, ერთის სიტყვით ისე მიიღო, როგორც სტუმარი და არა როგორც ბარიატინსკისაგან გაგზავნილი შუამავალი. მუსიკას ბავშვების თამაშობა და სიმღერა მოსდევდა; შემდეგ ბაღში სეირნობდენ; ასე ატარებდენ დროს. როგორც კი ჩ. განიზრახავდა საქმეზედ ლაპარაკის ჩამოგდებას, დედოფალი რაიმე მიზეზს იგონებდა და თავს არიდებდა. ამ მოტყუებაში სამმა დღემ გაიარა და ბოლოს მოთმინებდამ გამოსულმა ჩ. სთხოვა დედოფალს დაეწინა მისთვის დრო მოსალაპარაკებლად, მაგრამ მან ავადმყოფობა მოიგონა და არ მიიღო იგი. ამასზედ მეტი ხანი დარჩენა აღარ შეიძლებოდა, რისთვისაც ჩ. წამოვიდა სამეგრელოდამ გაჯავრებული.

ჩ. ობილისში დაბრუნდა და ბარიატინსკის ყოველივე უამბო. ბარიატინსკი ძალიან ვაკვირდა, მაგრამ მაინც კიდევ გაგზავნა დედოფალთან ღიუკრუასი, რომ მას დაეყოლიებინა დედოფალი. ღიუკრუასი წავიდა და მოლაპარაკება გაიბართა, მაგრამ მოლაპარაკების საგანი ყველასთვის საიდუმლო იყო. მხოლოდ ის კი ისმოდა, რომ

რუსეთის შორის დავა უფრო მეტად გამაფრთხილებს. საფრანგეთთან ომის შემდეგ ბერმანია გადსწყვიტა — არ გაერიოს მეზობელ სახელმწიფოთა დავაში და ამ გვარი პოლიტიკა დაიჭირა მან რუს-ოსმალის ომის დროსაც, როცა ინგლისი სთხოვდა რუსეთისადმი შუამავლობას მორიგებაზე.

რომდამ ტელეგრაფით აცნობებენ ერთს ნემეკურს გაზეთს, რომ რუსის სამხედრო ხომალდებმა, რომელნიც ხმელთა შუა ზღვაში მიმოვლიდნენ მიიღეს ბრძანება — კრონშტატში დაბრუნდნენ. ამ ბრძანების ძალით, აპრილის პირველს ყველა ხომალდებმა დასტოვეს ხმელთა-შუა ზღვა.

ინგლისის მმართველობას შეუკეთონა გამოჩენილის ნორდენფელდის ქარხნისათვის 360 მიტრალიეზა სხვადასხვა ყალიბისა. სულ მოკლეს ხანში უნდა დამზადდეს ეს შეკვეთილება. ამ რიცხვიდამ 100 მიტრალიეზა უნდა იყოს ოთხ-ლულიანი, 150 — ორ-ლულიანი ერთი გოჯის ყალიბისა, და 50 — ექვს-ლულიანი და 60 — ხუთ-ლულიანი ჩვეულებრივის თოფების ყალიბისა.

ინგლისის მმართველობასვე შეუკრავს პირობა ლავარელოს სახომალდო საზოგადოებასთან, რომელმაც ორის კვირის განმავლობაში უნდა შეაკეთოს უშველებელი ხომალდი „ჩრდილოეთი ამერიკა“ და კუნძულს მალტაზე მოიყვანოს. ამ ხომალდით არტილერია უნდა გადაიყვანონ. რუსის მმართველობასაც აქვ

ბარიატინსკის ლიუკრუას წერილი მიეცა, რომლითაც იგი აუწყებდა მას, რომ თქვენს წინადადებაზედ დედოფალი თანახმა არისო. ამასთანავე ლიუკრუასი სწერდა, რომ წინაპირველად დედოფლის გაჯავრება და დაუთანხმებლობა შუამავალი კაცების ბრალი არისო. მან შეადგინა დედოფლისთვის საკუთარი პირობა, რომელზედაც მას სამი დღის განმავლობაში პასუხი უნდა მიეცა.

მთხი დღის შემდეგ ბარიატინსკიმ კიდევ მიიღო ლიუკრუასგან წერილი, მაგრამ არა ისეთი სასიამოვნო, როგორც წინანდელი. დანიშნული სამი დღე გავიდა და დედოფალმა პასუხი არ მისცა, მხოლოდ შეატყობინა, რომ ავად ვარ და სანამ არ მოვრჩები ლიუკრუასს ვერ მივიღებო. ამაზედ ლიუკრუასმა აცნობა, რომ ბორდში სამი დღის მეტს ვეღარ დავრჩები და ამ სამს დღეში უსათუოდ პასუხი შემატყობინებო.

მესამე წერილით ლიუკრუასმა აცნობა მთავარ მმართველს, რომ იგი ბორდშიდამ გამოვიდა და დედოფალს მისწერა წერილი, რითაც აუწყებდა მას, რომ მისი (დედოფლის) სამეგრელოში დარჩენა აღარ შეიძლებოდა, რადგანაც ხალხი უფრო ძალიან აჯანყდებოდა.

პრავინ არ იცოდა, რა იყო მიზეზი დედოფლისა და ლიუკრუას შორის ასე უეცრად მოლაპარაკების მოსპობისა, ხმები კი დადიოდა, რომ დანიშნულს მესამე დღეს მასთან მივიდა

სო მოლაპარაკება ამ საზოგადოებასთან.

მეწელი კორესპონდენტი გაზ. „Times“-ისა იწერება: „აქ დარწმუნებულნი არიან, რომ რუს-ინგლისის შუა მორიგება, რომელიც საბოლოოდ მშვიდობიანობას მაინც ვერ დაამყარებს, მეტოქეს უმეტეს ზარალს მისცემს, ვინემ დაუყოვნებლივ ამტყუდარი ომი ამ ორ სახელმწიფოთა შორის. მხლა, როდესაც ინგლისმა სრული თვისი ყურადღება მიაპყრო რუსეთის მოძრაობას საშუალო-აზიაში, ყოველი ახალი ნაბიჯი მომავალში გადადგმული რუსეთისაგან ხელ-ახალს შეტაკებას გამოიწვევს ამ ორ სახელმწიფოთა შორის. მრთი მხოლოდ დაბოლოებითი და მკვიდრი მორიგება ინგლისისა და რუსეთის შორის აცდენდა მეტოქეს თავიდან ყოველ სათაში ომის მოლოდინს. და ამ გვარი მორიგება-კი ამჟამად, როცა საქმემ ასეთი გაცხარებული ხასიათი მიიღო, როგორც ჰგონიათ, ძნელი მოსალოდნელია“.

„National Zeitung“-ის აზრით საფრანგეთისა და ჩინეთის შორის ასეთი უეცარი მორიგება ინგლისის მეოხებით მოხდა, რადგან ამ უკანასკნელს ძვირად უღირს ჩინეთის მომხრეობა, რუსეთთან მოსალოდნელის ომის გამო.

სწორედ ნამდვილი ჩინეთური, ბოგდინანური დეკრეტი გამოუტია ჩინეთის იმპერატორს ძვანგ-სუ I-ის საფრანგეთთან მორიგების შესახებ. იგი

დედოფლის მდივანი და ბლომი ქრთამი აძლია, ამბობენ 60 ათასი მანეთი, ოღონდ კი მას სამეგრელოდამ წასვლაზედ ძალია არ დაეტანებინა. ლიუკრუასს მკვანე წერილი მიეწერა დედოფლისთვის, დაეხურა ქუდი და ბორდიდამ გაჯავრებული წამოსულიყო.

ლიუკრუასგან უკანასკნელი წერილის მიღების შემდეგ ბარიატინსკიმ გადსწყვიტა სამეგრელოში რუსის მმართველობა დაეწესებინა და ლიუკრუასს მიანდო შეატყობინა პროექტი შეედგინა, პოლიუბიაკინიც ობილისში დაიბარა. ბარიატინსკი ძალიან სთხოვდა პოლიუბიაკინს სამეგრელოს მმართველად წასულიყო და დაჰპირდა, რომ რამწამს ხალხი დამშვიდდება, სხვა ისეთს ადგილს მოგცემო, რომ გენერალ-გუბერნატორის ხელ-ქვეით არ იყო. ამ დაპირების გამო პოლიუბიაკინი დასთანხმდა.

როდესაც ყოველისფერი მომზადდა, პოლიუბიაკინი და ჩ. ერთად წავიდნენ სამეგრელოში და თან წაიღეს მეგრელებისადმი მიმართული პროკლამაციები, რომ რუსის მმართველობა არსდება სამეგრელოში. ორ ნაირი პროკლამაცია იყო შედგენილი; თუ ვინცოდაა დედოფალი თავის ნებით დასთმობდა თავის უფლებათ, მაშინ პირველი პროკლამაცია გამოცხადდებოდა, რომელშიაც მოხსენებული იყო, რომ რადგანაც დედოფალი თავის ნებით მიდის სამეგრელოდამ, ამისათვის რუსის მმართველობა წესდება. ოთუ რომ დედოფალი არ

აუწყებს თვის ქვეშევრდომთ: „რადგან ბარბაროსთ სიმდაბლით მოგეთხოვებს მორიგების ჩამოგდება, ჩვენ ყოველად უმოწყალებად ვასრულებთ მათ თხოვნას.“

ბერლინელ კორესპონდენტს „Daily Telegraph“-ისა სარწმუნო წყაროებიდამ შეუტყვიან, რომ ინგლისისა და იტალიის შორის უეცე შეკრულა პირობა, რომლის ძალითაც ინგლისს შეუძლია თვისი ჯარები გამოიყვანოს სუდანიდამ, რადგან იტალია გზავნის სამაგიეროდ თვის ჯარებს ამ ქვეყანაში. დაბეჯილებით ლაპარაკობენ აგრეთვე, რომ შაირისა და ალექსანდრიის ინგლისელი მეციხოვნე-ჯარებიც გამოვლენ ამ ქალაქებიდამ, რადგან იტალიისვე ჯარები გამოენაცვლებიან მათაო. იტალიისა და ოსმალეთის შორის დამოკიდებულება შესამჩნევად გაუმჯობესდა. აქედამ სჩანს, რომ ოსმალეთსაც სასიამოვნოდ დაურჩაო ინგლისისა და იტალიის შორის მორიგება და ყოველივე ეს, ცხადია, ძლიერ არგებსო ინგლისს. ჰფიქრობენო აგრეთვე, რომ ზოგიერთა პირობების მიხედვით, ოსმალეთი კისრულობს არც ერთს სახელმწიფოსთან არ შეკრას ისეთი პირობები, რომელნიც ინგლისს ავნებდენ.

სერ პეტერს ლემსდენი ამ ჟანად სდგას ტირზულში მდ. ჰერი-რულზე. ეს ადგილი მაგარს სტრატეგიულს პუნქტს წარმოადგენსო და გენ. ლემსდენს იმისთვის ამოურჩევიაო.

პარილის სამს ინდოეთის ვიცე-კოროლი ჩასულა ქ. ლაგორს, რო-

დათანხმდებოდა, მაშინ მეორე პროკლამაცია გამოცხადდებოდა, რომელშიაც არც ერთი სიტყვა არ იყო დედოფალზედ ნათქვამი და პირ-და-პირ იმით იწყობოდა, რომ სამეგრელოში რუსის მმართველობა წესდება და უფროსად პოლიუბიაკინია დანიშნული. მაგრამ დედოფალმა თავის ნებით არ დასთმო თავის უფლებანი და ამისთვის უკანასკნელი პროკლამაცია გამოცხადდა.

დედოფალი საშინლად უკმაყოფილო იყო ბარიატინსკიზედ და ამ ნაირის სიტყვებით იხსენიებდა მას; „ავანტიურისტს, პეტერბურგიდამ გადმოვარდნილს, ომში ჩინებისა და ჯვრების მისაღებად, აბარებენ ქვეყანას და იგი ისე ექცევა მთავრებს, როგორც უბრალო კაცებს. ამისთანა ავანტიურისტები განგებ აგრძელებენ ომს, რომ ხაზინა უფრო დიდხანს სტარცონ. მხლა მე ვიცი, რაც მომეღის. წამიყვანენ სამეგრელოდამ, მამულებს წამართმევენ, მე და ჩემს შვილებს რალაც უბრალო პენსიას მოგვცემენ და იმასვე გვიზმენ, რაც უყვეს საქართველოს მეფის შვილებს, სამეგრელოს მართვას კი ვილაც სალდათის შვილს პოლიუბიაკინს ჩააბარებენ. მაგრამ მე ამას არ მოვითმენ და ყოველსავე სემწიფესა და მის მეუღლეს შევატყობინებ, იგინი არ მონდომებენ ჩემსა და ჩემი შვილების დაჩაგრვას“. ამისთანა სიტყვებს დედოფალი ხმა-მალლა ამბობდა, ღვლდებოდა და ხანდისხან გულიც მისდიოდა.

გორც აუწყებენ „რეიტერის სააგენტოს“. ლორდ ლეფერინს შიგნითონ ქალაქის წარმომადგენლებს, რომელთათვის ვიცე-კოროლს მიუმართავს შემდეგის სიტყვებით: „ეს არის მოედოვარ რაფულ-პინდელამ, სადაც ვნახე ემირი, რომლის ჯარებს, მათგან წინააღმდეგობის გამოუწვეველად, ზარალი მიაყენეს. ამყოფილი ვარ დიდად, როდესაც ვხედავ, რომ ინდოეთის მთავარი და ერი მზანი არიან ჩადგენ ბრიტანიის დროშის ქვეშ. მხლა ვერიტქმის რით გათავდება ეს გამაფრებული დავა; მაგრამ თქვენ არ შედრკებით თუნდ ომი ასტყდეს“...

ტელეგრაფები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“
პარილის 11-ს

პეტერბურში. დღეს განსაკუთრებული დიდებით დასაფლავეს ისტორიკოსი კოსტომაროვი განსვენებულის კუბოს სხვათა შორის მიქვევბოდენ ლიტერატურათა და სამოსწავლო დაწესებულებათა წარმომადგენლებს; გვირგვინების რიგხვი თან-და თან მრავლდებოდა. კუბო მიქქონდათ განსვენებულის თევანის-მცემელთ.

სენატმა რეკავისა და ამის ცამეტი მომხრეთ სხივარი უყურადღებოდ დასტოვა.

ხარკოვი. დღეს გამოცხადებულ

პოლიუბიაკინმა მნახა თუ არა შუთაისში, მაშინვე სამეგრელოს ერთი მაზრის უფროსობა მომცა. სამეგრელო სამს მაზრად იყოფებოდა: ზუგდიდის, სენაკის და ლეჩხუმისა. პირველში დანიშნა თავადი რაფაელ შრისთავი, მეორეში მე და მესამეში პოსტანტინე მიქელაძე. შოველივე ეს საჩქაროდ და სწრაფად მოხდა, რადგანაც სამეგრელო ისეთს მდგომარეობაში იყო, რომ მოცდა აღარ შეიძლებოდა. სექტემბრის დასაწყისში ჩვენ ყველანი ჩვენს ადგილას ვიყავით, ლიუკრუასმა საქმეები ჩაგვაბარა და თვითონ ობილისში წავიდა თავის თანამემწეებით.

როდესაც პოლიუბიაკინი შუთაისიდან სამეგრელოში მიდიოდა, რასაკვირველია, აკოფოვიც იქ იყო, რომელსაც დალონება ეტყობოდა, მაგრამ მაინც ეხუმრებოდა პოლიუბიაკინს.

— აკი გეუბნებოდი, ნიკოლოზ პეტრეს ძე, როდესაც მიქამემ წერილი მოიტანა: — დარჩი, ნუ წახვალ მეტქი... არ გამოვიანე, წახვედი... ოვალთ-მაქცმა დედოფალმა ისე აგირია თვალები, რომ ეხლა შენ, ვიცი, არ გინდა წასვლა, მაგრამ არ შეიძლება — უნდა წახვიდე. ნახვამდის. ზუგდიდში გეწვევი ქალაღის სათამაშოდ. სინამ მოვიდოდე მიქავას პრეფერანსი ასწავლე.

(შემდეგი იქნება).

ექმნა დაბოლოებითი განხილვა ტა-
განროგის დამოყენის შესახებ; 10
ბრადდებულთ, რომელთა რიცხვში გა-
ლიანოც ურევია, სწრაფად გადააქვთ.

ლონდონი ადმინისტრაციისთვის
შენიშნის ერთს განყოფილებათაგანში
მოხდა აფეთქება, უკუკვლავა დინამი-
ტით; ადმინისტრაციისთვის სერკეტ-
რის თანაშემწე მძიმედ დაიჭრა; შე-
ნობა შეტად დაზიანდა.

ბერლინი. ბერლინზედ გავლის
დროს, შეგინდის გარდაღმა სიჭკვა,
რომ, თუ იქი მოხდა, შეგინდა ნეი-
ტრალიტეტს დაიჭერსო.

აბრეშის 12-ს

ლონდონი. გლადსტონმა, გასცა
რა პასუხი ნორსვოტს საზოგადოება-
თა პალატაში, განაცხადა, რომ მოავ-
რობას ჯერ-ჯერობით არ შეუძლიან
დაწვრილებით განმარტოს, თუ რა
მდგომარეობაშია ამ უამად ავღანის
საქმე; განმარტება ზოგიერთა კერძო
ამბებისა კი ეჭვიანობას დაჭბადებს.
ნორსვოტმა ეჭვი შეიტანა, რომ პა-
ლატამ ნათხოვნი კრედიტი მისცეს,
თუ საქმის გარემოებას არ გაიგებსო.
გლადსტონმა ამასზედ უპასუხა: საზო-
გადოდ პალატამ იცის დანიშნულება
ამ კრედიტისა და იქედით იმასაც მი-
ხვდება, რომ არ შეიძლება გადაიღოს
სხვა ამისთანა ეოვლად საყურადღებო
საგანზედ, რომელზედაც დამოკიდე-
ბულია ინგლისის ერის ღირსება და
ბედ-იღბალი.

ცნობანი

საავადყოვოს დირექტორი ბ-ნი
ვერმიშვილი ამით აცხადებს რომ ქ.
თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე
მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარ-
სებულს საავადმყოფოში 1866 წლის
აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემო-
ღებული არის მცხოვრებთა შეღავათი-
სათვის ღამიანობით მორიგად ყოფნა
ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ქვიშები:

არუთინიანი, ორშაბათობით, ხუთ-
შაბათობით და კვირაობით.

კორონა, სამშაბათობით და შა-
ბათობით.

მელიქ-ფარსადავოვი, ოთხშაბა-
თობით და პარასკევობით.

გაბიები:

ფილჩაქოვისა, სამშაბათობით.

გაბინოვისა, ორშაბათობით და
პარასკევობით.

სტამბანოვისა, ოთხშაბათობით და
შაბათობით.

ლოქოვისა, ხუთშაბათობით და
კვირაობით.

სამკურნალოში, რომელიც თბი-
ლისის მოქალაქეთა დაასრეს სასწრაფად
4 აბრეშისა 1866 წლისა, ავადმყოფნი
მიიღებიან დღის 8 საათიდან 12 სა-
თამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნა-
ლოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები:
ტერ-გრიგორიანი — 8 საათიდან 9

სათამდინ საბუბო, საქალებო და სა-
ბაკოა ავადმყოფობის საწამლებად;
ბენკლევი — 10—11 საათამდე — სა-
ხირურგო, სიფილისის ავადმყოფობის
წამლობისათვის და ავრუვე კბილისა და
ყურის ტკივილის საწამლებად; შტემ-
ბლრევი 11—12 საათამდე სიფილისისა
და სსეულზე გამყრელი მუწუკების წამ-
ლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი
ორშაბათობით 9—10 საათამდე შინა-
გან ავადმყოფობის წამლობისათვის;
კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით,
ხუთშაბათობით, და შაბათობით შინაგან
ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11
სათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და
პარასკევობით 9—10 საათამდე ხირურ-
გიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი
სამშაბათობით და შაბათობით 11—12
სათამდე თვლის ტკივილის საწამლებ-
ად; გრანსოვლიანდოვი ორშაბათობით
და პარასკევობით 10—11 საათამდე
შინაგან ავადმყოფობათა წამლობისა-
თვის; ვოლქსონი კბილის ტკივილის
საწამლებად მიიღებს თავის სასწამ-
ლოს ყოველთვის ღამიან ავადმყოფებს, რომ-
ელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნე-
ბათ.

მაზანდა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბი-
ლისის ბაზრებში, ღუქნებში და ხელ-
და-ხელ 1 აპრილიდან 1 მაისამდე
1885 წ.

გამომცემი შური რუ.
სეთის ფეჭილისა — — 1 გ. 5 კ.
ქაურის ფეჭილისა: პირ-
ველის სარისისა — — 1 გ. 2 1/2
მეორისა — — 1 გ. 2 კ.

**იმპეო ფელიისა თორნეტი გამომ-
ცხვარი:**

პირველი სარისისა — 1 გ. 4 1/2
მეორისა — — 1 გ. 3 კ.
მესამისა — — 1 გ. 2 1/2

ჯვარის-მამის შური:

პირველის სარის ღავაში 1 გ. 4 1/2
მეორის სარის. ღავაში 1 გ. 3 1/2
მესამისა — — 1 გ. 3 კ.

ძროსის სორცი:

პირველის სარისისა — 1 გ. 9 კ.
მეორისა — — 1 გ. 8 კ.
სუკი — — 1 გ. 16 კ.
ცხვრის სორცი — — 1 გ. 10 კ.

ღორის სორცი:

პირველის სარისისა — 1 გ.
მეორისა — — 1 — გ.

რძინის გზა

თბილისიდან ბათუმიკენ მიდის
8 საათზე და 31 წამ. დილით.

თბილისიდან მარტო საშუაშემდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდან ბაქოსკენ
10 საათზე და 45 წამზე დილით.
(სამშაბათობით და შაბათობითსაჩქარო
10 ს. 58 წ. დამით.)

ქუთაისიდან თბილისისკენ
12 საათზე და 25 წამ. შუადღის უკან.

**ქუთაისიდან ბათუმიკენ და ფო-
თისკენ**
5 საათზე და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

**ფოთიდან და ბათუმიდან მოძავა-
ლი თბილისში შემოდის**
10 საათზე და 25 წამ. დამით.

მარტო საშუაშემდინ მოძავალი
თბილისში შემოდის
8 საათზე დილით.

ბაქოდამ მოძავალი შემოდის
თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(სამშაბათობით და შარასკევობით საჩქა-
რო 7 ს. 53 წ. დიდ.)

განცხადებანი


რადგან ზოგიერთა პირთ ხამოცხა-
დეს სურვილი წინ-და-წინვე ხელის-
მომწერისა

სურათების ვეფსის-ტეაოსანსე,

ამისათვის შევამზადებინე კვიტან-
ციები და მსურველთ შეუძლიანთ ეხ-
ლავე შემოიტანონ ფული ან სრუ-
ლიად, ან ნაწილ-ნაწილ „დროების“
რედაქციაში. შასი სურათებიანი ვეფ-
სის-ტეაოსანისა, იქნება რვა მანათი-
ლამ ათ მანათამდე, ხარჯის კვალო-
ბაზე. ხელის-მომწერი ფულის შემო-
ტანისათანავე მიიღებს კვიტანციას, თუ
იგი თბილისშია და შემდეგი ფულის
შემოტანის დროს ან ეს კვიტანცია-
ვე უნდა წარმოადგინოს, ან შეატ-
ყობინოს მისი მწერი. თბილისის გა-
რეშე ხელის მომწერთა ფული უნდა
გამოგზავნონ რედაქციის ადრესით და

კვიტანცია მოთხოვნამდე რედაქციაში
ვე შეინახება. **ვეფსის-ტეაოსანი**
სურათებიანი რედაქციაში
გამომცემელი
(25—9) გ. ქართულიშვილი.

ინგლისური რძინის კარობანი



ერთის საწოლი 6 მანათიდან, და
ორის საწოლი 10 მანათიდან; მათი
ღებები, ზღვის პანსიონატის გატანილი
4-დან 8 მანათამდინ. კიდევ შემდეგი
ნივთები იყიდება 25%-ით უფრო ია-
ფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანის
შეტადის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე,
საშაქრე, კოფეები, შეფიდის დასება
ხანგლებით, სამართებლები, დასადგმე-
ლი პირის საბანი, სტაქსები, სუფოვნი-
კი, საწაფა, რიფქები, საქაშური,
თეფშები, პლიუდები, სასალათეები, ტაშ-
ტები, სარძევეები, სამართებლები, განი-
ცის საფეხები, შრობის ამოსაღები,
პრობები, კლიტები, გასაღებები, კრან-
ტები, ავარიები, სლისტები, ტანისამო-
ლის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლე-
ბი, ვაქსები, უთოები, წისქვილები, სერ-
სები, ქაბები, ინგლისის თოფები და
რეკლავები, შიუები, ზარბაძები, კაშ-
სიულები, საფანჯარი, ნიხები, ვატერ-
პრეზა, საბნები, ჩუქები, წისდები,
სუფრები, საფეხტები, რგოლები, ემა-
ლიანი ტურეტები, მურაბები, გამაგეტე-
ბი, კაშულები, სოუსები, ზღვის პა-
ლასი, დამაკიტანები, ბომბეი და
სსვ. ინგლისურს მალაზიებში არწრუ-
ნისუელს ქაჭასლასში № № 95, 94,
93, 91, და 90, 89, 88, 87, 86,
და 85, უდიდესი ჩაის მალაზია თბილის-
ში. (100—14)

ინგლისური მალაზია

Maison de fiancee და უდიდესი საწყობი ჩაისა და საქონლებისა
თბილისში, იმყოფება არწრუნისეულს ქარვასლაში № № 95, 94, 93, (92
სამუსიკო მალაზია ლანკოსი) 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85. რადგა-
ნაც ინგლისური მალაზიის გამგებელი ყოველთვის თვითონ მიდის სამზღვარ
გარეთ ჩაის საყიდლად და პირველ ხელიდან ჰყიდულობს, ამიტომაც შეუძ-
ლია ჰყიდოს უკეთესი ჩაი და უფრო იაფადაც ვიდრე სხვაგან სადმე. და-
სარწმუნებლად ჩაის მცნობებმა და პირველ მოკრეფილის ჩაის დამფასებლებ-
მა შეადარონ

ჩუნი ჩაი	1 მან. — კაშ.	ჩაის	სხვაგან 1 მან. 20 დირუბულს.
„ „	1 — 20 — „	„	1 — 50 —
„ „	1 — 40 — „	„	1 — 80 —
„ იშვიათი	1 — 60 — „	„	2 — 20 —
„ ჩინეთის ყვავილი	1 — 80 — „	„	2 — 50 —
„ ფურეფუ	2 — „ — „	„	2 — 80 —
„ ფენომენი	2 — 40 — „	„	3 — „ —

ბრაქტირები, ინსტიტუტები, მონასტრები, პანსიონები და სხვანი დიდნი
დაწესებულებანი, უეჭველია, დარწმუნდებიან, რომ ვერსად ვერ იყიდონ ასეთს
სუნელიოვანს და მაგარს ჩაის ზემო მოყვანილ ფასებად.

ჩაის ფასი ყოველთვის უქადადლოდ იქნება

შალა ქს გარეშე მცხოვრებისათვის, ვინც ნ-ს გირვ. ნაკლებს არ იყიდის,
გასაგზავნს ფასს მალაზია იკისრებს. იქვე იყიდება 30% უფრო იაფად, ვიდრე
სხვაგან: ესენცია კაკაოსი, ბისკვიტები, თეფშეულობა, კლიონკა, უნაგი-
რები, ტაბაკები (ფოდნოსები), დანები, მაკრატლები, კალმები, კრაოტები,
და სხვ.; ყველ ფური პირველ სელიდგან—აი საიდუმლო ინგლისური მალაზიის
გასაოცარის წარჩინებისა, რომლის გამო იგი ჰყიდის მრავალის ჩაის, კალ-
მებს, ქალაღს, კრაოტებს და სხვ. (100—12)